

ზოგიერთი პარემიული ცნების გამოხატვისათვის არაბულ ზეპირსიტყვიერებაში

(ზეპირისპირებითი კვლევით ქართულ პარალელებთან)

ხათუნა თუმანიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

E-mail: Khatu64@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.14>

*არაბები ხდებიან უზადოდ ამყნი იმით, რომ
შეუძლიათ მოიხმონ ანდაზები საჭიროებისთანავე
და იმავდროულად დიდი პატივი მიაგონ ნებისმიერ
ადამიანს, რომელსაც ძალუმს ამგვარი გამოთქმების
მართებული გამოყენება
რ. ბარაქათი (ბარაქათი 1980:7)*

ცნობილია, რომ ანდაზები მნიშვნელოვანი „სოციალური დოკუმენტებია“, რომლებიც ერების მსოფლმხედველობის გამომხატველ სტერეოტიპულ კომუნიკაციურ ერთეულებს წარმოადგენენ. მათში კონცენტრირებულია საუკუნეების მანძილზე ადამიანთა აზროვნების, სამყაროს სიღრმისეულ კანონზომიერებათა არსში წვდომის პროცესი და დასკვნები. მათი საშუალებით ფასდება და განზოგადებულად რეპრეზენტირდება არსებითი მოვლენათა კლასში – აპრობირებული სიბრძნე. სწორედ განზოგადებული მნიშვნელობის წყალობით შეუძლიათ ანდაზებს იქცნენ მოცემული ენობრივი კოლექტივის მენტალიტეტის პარამეტრებად, მისი გადასახედიდან დანახული და „დადგენილი“ ნორმების მატარებელ ფორმულებად. ამის საფუძველზე გამოიყენებიან როგორც არგუმენტირებული მტკიცებულებანი მრავალფეროვანი ცხოვრებისეული სიტუაციების ასახსნელად და პრაგმატული „სტრატეგიული“ მითითებების გამოსავლენად.

არაბი ავტორი აბუ 'უბაიდ ალ-ჰარავი (ფილოლოგი, იურისტი, თეოლოგი, დაიბადა 770 წელს). ამბობს: „არაბული ანდაზები არაბული ფილოსოფიისა და სიბრძნის ერთი დარგია“ (თარჯუმანი 1987:117), და თვით ხალხი მას შეაფასებს ასე:

[əl-másal ma jekzob 'abadan] يكذب المتل ما – ანდაზა არასოდეს ტყუის.

არაბი სწავლულები ანდაზებით, როგორც კვლევის ისტორიიდან ირკვევა, ჯერ კიდევ ისლამის წარმოშობის ხანიდან (ზოგი მკვლევრის (ვებსტერი 1986) ვარაუდით, შესაძლოა ადრეც) ინტერესდებიან. ს. ბროკელმანი გვამცნობს, რომ ფაქტობრივად თითქმის ყველა ცნობილმა არაბმა სწავლულმა მიუძღვნა სპეციალური შრომა ანდაზებს. მისივე თქმით, ისტორიკოსები და ფილოლოგები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მათ შეკრებასა და განმარტებაში (მუფადდალ ად-დაბბი, აბუ 'უბაიდ ალ- ჰარავი, ალ-‘ასქარი, ალ-მაიდანი) (ბროკელმანი 1913:408). შედეგად მიღებულ იქნა კლასიკური არაბული

ანდაზების საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, რომელიც შეიცავდა უამრავ ცხოვრებისეულ ინფორმაციას ისლამამდელი არაბული კულტურის შესახებ.¹

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე არაბ (მათ შორის სირიელ) ფოლკლორისტთა მოღვაწეობა ძირითადად პარემიოგრაფიით შემოისაზღვრება. რაც შეეხება ანდაზის თეორიას, ის პრაქტიკულად მწირია, ნაკლებად მოიცავს მოცემული ჟანრის სპეციფიკის გამოვლენისა და სტრუქტურული კვლევის მცდელობას. მკვლევართა მიერ ის უმეტესწილად საყოველთაოდ მოწონებული „ენის სამკაულის“ დონეზე განიხილება, თუმცა ამავე დროს აღიარებენ ანდაზების ბრძნულ, ფილოსოფიურ პოტენციალს (სიჰამ თარჯუმანი, ილფათ იდილბი). უკეთეს შემთხვევაში, ავტორთა ანალიზი ანდაზების მარტივ, ლექსიკურ თუ შინაარსობრივ განმარტებებს მოიცავს (საიმუნ იბრაჰიმ ჰიმსი, იბრაჰიმ აჰმად შა'ლანი). გარდა ამისა, შემკრებნი ცდილობენ, რომ კრებულებში ისინი შეიტანონ კლასიკურ არაბულ ენაზე, ტრანსკრიპციის გარეშე (დიალექტებში ორთოგრაფია ნორმირებული არც არის), რაც არაბი (ჩვენ შემთხვევაში სირიელი) მკითხველისათვის საერთო-სახალხო ენაზე, ე. ი. საკუთარ დიალექტზე აღიქმება. მას ამავედროულად ეხმარება ეროვნული საანდაზო ფონდის „გენეტიკური“ ცოდნა, ხოლო ამ საკითხით (დიალექტური ანდაზებით) დაინტერესებულ უცხოელთათვის, რა თქმა უნდა, აღნიშნული გარემოების გამო, რთულდება მათი დიალექტზე სწორად აღქმისა და, შესაბამისად, შესწავლის პროცესი. ამას თავად ანდაზის ინდივიდუალური სპეციფიკა, მისი მრავალშრიანი სემანტიკური სტრუქტურული მექანიზმი განაპირობებს, რადგან ერთია, ამ თითქოსდა მარტივი საანდაზო წინადადების სიტყვასიტყვითი თარგმნა და მეორე, იმ ძირითად აზრს ჩაწვდომა, რომელიც მოცემული ეთნოსის ისტორიული გამოცდილების ფონზე ჩამოყალიბებული მენტალური გაგებით მის სიღრმისეულ დონეზე მოიაზრება. კერძოდ, მისი ზოგადაზრობრივი მნიშვნელობა და, შესაბამისად, გამოყენების სფეროს დადგენა.

ეს სპეციფიურობა კიდევ უფრო ხაზგასმით შეიმჩნევა არაბულში ბილინგვიზმის პრობლემის გამო. ქართულში ანდაზას თითქმის არ ემჩნევა რომელიმე დიალექტის კვალი. ზოგჯერ ისიც კი ძნელი გასარჩევია, რომელ კუთხეშია იგი შექმნილი და ჩაწერილი. ამა თუ იმ ანდაზას ერთნაირად იტყვის ქართლელიც, კახელიც, გურულიც... დიალექტური ვარიაციები აქ უმნიშვნელოა. მათი ენა საერთო-სახალხო ენაა. მაშინ როდესაც სულ სხვა ვითარებაა არაბულში: თვით იდენტური ვარიანტებიც კი კლასიკურ არაბულსა და სხვა დიალექტებზე (ამ შემთხვევაში სირიულზე) იმდენად განსხვავებულად წარმოითქმის და ჟღერს, რომ ხშირად არც კი იგრძნობა, რომ მათ შორის რაიმეა საერთო. ამიტომ საანდაზო ენის შესწავლის თვალსაზრისით აქ გაცილებით მეტ სირთულეს ვხვდებით. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით არაბული ანდაზების მოპოვების დროს, ინფორმანტების ახსნა-განმარტებებით და კომენტარებით პრაქტიკულად დაზუსტდა თითოეულის ქვეტექსტური მნიშვნელობა, შესაბამისი სიტუაციური კონტექსტებით დაფიქსირდა სამეტყველო აქტების დროს მათი გამოყენების შესაძლო პერსპექტივები.

ანდაზის აზრობრივი მოცემულობა ერთდროულად ლოგიკური, ვერბალური და ცნებითი აზროვნების ელემენტებს მოიცავს. ლოგიკურს იმიტომ, რომ ის სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის ლოგიკურ მიმართებებს ასახავს; ვერბალურს, იმიტომ, რომ კომუნიკაციური ერთეულია და არსებითად დაკავშირებულია მეტყველებასთან; ხოლო ცნებითს იმიტომ, რომ მასში მოცემული მსჯელობა და დასკვნა ცნებით ოპერირებას ეფუძნება.

ანდაზა რომ ძირეულად თემატურ-ლოგიკური კომბინაციებისაგან იქმნება, პრაქტიკულად, ერთმნიშვნელოვნად აღიარებს პარემიოლოგია (თუმცა მიდგომები

¹ კლასიკური არაბული ანდაზებისადმი მიძღვნილი ყველაზე ძველი ფილოლოგიური ტრაქტატი მე-8 საუკუნით თარიღდება. “Kitāb al-ʿAmthāl” (ანდაზების წიგნი) ქუფელ ფილოლოგს მუფადდალ იბნ სალამაჰ ად-დაბის ეკუთვნის (გარდაიცვალა დაახლ. ჰიჯრის მე-2 ასწლეულში).

განსხვავებულია) (პერმიაკოვი 1970; კრიკმანი 1984; ბარლი 1984). არსებული კვლევების საფუძველზე ვლინდება ანდაზის კონსტრუირების ფუნდამენტური საყრდენი: სამყაროს შემეცნების პროცესში რაიმე მოვლენის შესახებ მიღებული გამოცდილების ერთი სფერო საფუძველად ედება მეორეს, რითაც ანდაზის კონკრეტული შინაარსობრივი ფორმით წარმოდგენილი აზრი განზოგადებული სიბრძნე ხდება.

ანდაზის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ შესაბამის კონტექსტზე მორგებისას დაფაროს ძირეული, პირველადი მნიშვნელობის სინტაგმატური შემადგენლები და წარმოსახვითი ჩანაცვლების გზით გადაიტანოს მეორეზე განსხვავებულ სიტუაციებში. აღნიშნულ საკითხზე ნ. ბარლი ამგვარად მსჯელობს: ანდაზა სცდება ჩვეულებრივი გამონათქვამის ფარგლებს. ანდაზის ინტერპრეტაცია მისი ყოველი აქტუალური გამოყენებისას ხორცს ისხამს ახალი „სემანტიკური მარკერების“ შემენის ხარჯზე, რომელსაც წარმოშობს კონტექსტი (ბარლი 1984:153). ანუ ანდაზის ოპერირებისას კონკრეტული „სენსორული მასალის“ საფუძველზე ამუშავებულ წარმოსახვით კატეგორიებს ვარირება შეუძლია სხვადასხვა სიტუაციაციურ კონტექსტში, სადაც მისი აზრობრივი ფორმალიზაციის პროცესის არსებითი ბუნება პრაქტიკულად შეუცვლელი რჩება. კონკრეტული ანდაზის ყოველი რეალიზებისას მუშაობას იწყებს მეტაფორული ძრავა, რომლის დროსაც ანალოგიებზე დაყრდნობით მიმდინარე დეშიფრირების პროცესი – განზოგადებული სიბრძნის წვდომა, თავის მხრივ, მოცემული ეთნოსის ისტორიული გამოცდილების ფონზე მიღებულ ცოდნას ემყარება. ამ დროს კომპლექსურად ერთვება აზროვნების ისეთი რთული ქვეცნობიერი ოპერაციები, როგორცაა: სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის ლოგიკური მიმართებების ასახვა, არსებითის წვდომა, განზოგადება და აბსტრაგირება. როგორც ჩანს, ანდაზის დეკოდირება, რომელიც სამეტყველო აქტის მონაწილეთა ქვეცნობიერში ხორციელდება ფსიქოლოგიურად რთული, კომბინირებული სააზროვნო პროცესია.

დასმული საკითხის გააზრებაში გამოგვადგება ტერმინი „იდეათა (წარმოდგენათა) ასოციაცია“ (ჯ. ლოკი). ეს ცნება გულისხმობს პროცესს, რომლის საფუძველზეც ფსიქოლოგიური აღქმები და წარმოდგენები ერთმანეთს უკავშირდებიან და წარმოქმნიან რთულ, ფართე მნიშვნელობის იდეებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, განვიხილოთ არაბული საანდაზო ფონდიდან მოძიებული ერთი აზრობრივი მოდელი, ვნახოთ, განზოგადებული ცნება – „ღირებულის დაფასება სჭირდება“ – რა სახით გამოიხატება არაბულ ზეპირსიტყვიერებაში, რა გამოცდილებას ემყარება არაბი მოცემულ შემთხვევაში და, მასზე დაყრდნობით, რა სახის წარმოსახვით მიმართებებს აფიქსირებს:

¹ [‘áṭu l-ḥmār wárdē ‘akálha] عطاوا الحمار وردة – أكلها

– ვირს ვარდი მისცეს – შეჭამა. / § ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.

მოცემული ხატოვანი ანდაზა მკვეთრ მეტაფორულ კონტრასტზეა აგებული. სამეტყველო აქტში რეალიზაციისას აღნიშნული აზრობრივი ოპერირების ფონზე დენოტატიურ მნიშვნელობაში ჩადებული, ექსპლიციტურ დონეზე კონკრეტული შინაარსით გამოხატული აზრი დისოცირდება და წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებების საშუალებით ასოცირდება მავანთან შესაბამის კონკრეტულ სიტუაციურ კონტექსტში, რის ხარჯზეც იძენს ახალ „სემანტიკურ მარკერებს“. პირველადი მნიშვნელობა გამოდიფერენცირდება. სამეტყველო აქტის მონაწილეთა ცნობიერებაში ფიქსირებული გამოცდილების ფონზე აქტუალიზდება სამყაროს მოდელის ის ნაწილი,

¹ არაბულენოვან მასალას საფუძველად უდევს სირიული დიალექტის ქალაქური – ძირითადად დამასკოს, ალეპოს და მათი გარეუბნების კილოკავები. თითოეული ჩაწერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან უშუალოდ სირიელი ინფორმანტებისაგან. არაბულ ტექსტს თან ახლავს ლათინური ტრანსკრიფცია (რომელიც ავლენს სირიული დიალექტის ფონეტიკურ სხვაობებს კლასიკურ არაბულთან მიმართებით), სიტყვასიტყვითი თარგმანი და შესაბამისი ქართული აზრობრივი პარალელები.

რომელშიც ჩადებულია ცოდნა, რომ ვირი იაფფასიანი, იოლად შესანახი ცხოველია (რომელსაც, როგორც წესი, ტვირთის საზიდად იყენებენ). ამასთანავე, მოცემული ეთნოსების მენტალურ ცნობიერებაში ვირი უგუნურობის, უმეცრების სიმბოლოდ აღიქმება (ლოგიკური შეფასების სემა – ნეგატიური), ვარდი კი – ყვავილთა მეფედ, რომელიც სილამაზის სიმბოლოა და, შესაბამისად, რაიმე ღირებულთან ასოცირდება (სემა – პოზიტიური). ზედაპირულად ფიქსირებული ოპოზიციური წყვილის – ვირი/ვარდი – საფუძველზე ხორციელდება აზრმდებლობა: რა უნდა ვირს ვარდთან? სად ვირი და სად ვარდი?! (სიღრმისეულად შესაბამისად ცნობიერდება ფასეული/არაფასეული ; კანონზომიერი/არაკანონზომიერი)¹ აღნიშნული ლოგიკური შეუსაბამობა განაპირობებს ანდაზის იმპლიციტური მნიშვნელობის ექსპლიკაციას და კონკრეტული აზრის განზოგადებას, ფართე მნიშვნელობის იდეის ზედაპირზე ამოტანას – „ღირებულს დაფასება სჭირდება“ (ირიბი დიდაქტივი).

ზუნებრივია, ანდაზის სემანტიკაში ფართე მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა არ გულისხმობს იმას, რომ ყურადღება არ გამახვილდეს პირველადი მნიშვნელობის უდაოდ დიდ ფუნქციაზე მისი მთლიანი აზრობრივი ფაბულის ფორმირებაში. მხედველობაში გვაქვს გამონათქვამის ის შემადგენელი ატრიბუტიკა – „საშენი მასალა“ (პერმიაკოვი 1970 :61), რომელიც ანდაზის საგნობრივ-თემატურ მოცემულობას ქმნის და რომელსაც ის ირჩევს აღნიშნული სიბრძნის დაფიქსირებისათვის. მასში შერჩეული კომპონენტები ხშირად დენოტატიურ დონეზევე იძლევიან კონოტაციურ სიგნალს, რომელიც ანდაზის სპეციფიკაში არ შეიძლება ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად არ მივიჩნიოთ. სწორედ ის განსაზღვრავს, თუ რა აზრით, რა შეფერილობით (დადებითით თუ უარყოფითით) გამოიყენება კონკრეტული ანდაზა. ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ შემთხვევაში მოცემული ხატოვანი ანდაზა, როგორც ვნახეთ, მკვეთრ მეტაფორულ კონტრასტზეა აგებული. „ვირის“ შერჩევით „ვარდის“ ოპოზიციად და მათი დაპირისპირების საფუძველზე მოცემული ლოგიკური შედეგით („ვირმა ვარდი შეჭამა“) გამონათქვამი ზედაპირულ დონეზევე ამჟღავნებს უარყოფით მუხტს; ის ირონიით მიემართება და დაცინვის ობიექტად ხდის ადამიანს, რომელსაც (ვირის ანალოგიით) არც გონიერება და არც ცოდნა ყოფნის საიმისოდ, რომ სათანადოდ დააფასოს მის ხელში მოხვედრილი (ვარდის მსგავსი) რაიმე ღირებული. შესაბამისად, ლოგიკურია ის შთამბეჭდავი ეფექტი, რომელიც მოცემული ანდაზის რეალიზაციას სდევს თან.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მსგავსი იდეის დაფიქსირებისათვის ქართულიც მეტაფორად იმავე ლექსიკურ ერთეულს, „ვირს“ იყენებს, არაბულ „ვარდს“ გემრიელი და ძვირფასი ხილის სახეობა, „ხურმა“ ენაცვლება. აზრმდებლობა და აზრის გახსნაც, შესაბამისად, ვირისა და ხურმის დაპირისპირებისა და მათ შორის არსებული ლოგიკური შეუსაბამობის საფუძველზე ხორციელდება. ორივე ეთნოსის მენტალობაში თითოეულის ზოგადაზრობრივი განფენილობის პარამეტრები პრაქტიკულად ერთ სიბრტყეზე ცნობიერდება. (ადგილი აქვს ენათმეორის ზუსტ აზრობრივ პარალელიზმს – სინონიმისას.) ორივე ერთეულში მეტაფორული ექსპანსიის მიმართულება ერთნაირია: ცხოველთა/მცენარეთა სამყარო → ადამიანი.

არაბული საანდაზო ფონდიდან მოვიხიშობთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც, თუმცა ზოგადაზრობრივად იმავე ცნების („ღირებულს დაფასება სჭირდება“) გამოხატველია, მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, განხილული ანდაზის ნაწილობრივ აზრობრივ პარალელს წარმოადგენს:

[ʔəlli mā bjaʔref əʂ-ʂaʔar bjiʂwi(h)] اللي ما بيعرف الصقر بيشويه

– ვინც შევარდენს ვერ ცნობს, შეწვავს მას.

¹ მ. რუსეიშვილი, საკვებით მართებულად, ანდაზის სიღრმისეულ სემანტიკაში (მეორე შრეზე) ხედავს არქეტიპულ ბინარულ სტრუქტურას (სტრუქტურებს). ამავედროულად, მკვლევარი ანდაზის რაობის განსაზღვრისას მას დიფერენცირებულ ნიშნად გამოყოფს.

ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს ხატოვანი, მეტაფორული ანდაზა. მასში, წინამდებარე ერთეულისაგან განსხვავებით, ზედაპირული ოპოზიცია არ ფიქსირდება. ენის მატარებელმა მასში არსებული ისტორიული გამოცდილების საფუძველზე იცის, რომ შევარდენი საკმაოდ ძვირფასი ჯიშის ფრინველია, რომელსაც წვრთნიან და სანადიროდ იყენებენ. აქედან გამომდინარე ხდება აზრმდებლობაც: რატომ წვავს მავანი შევარდენს? მას ხომ სხვა (სანადირო) ფუნქცია აქვს და არა კვებითი ღირებულება. ლოგიკურად კვლავ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, რის ფონზეც იშიფრება მსგავსი აზრის მქონე ფართე მნიშვნელობა: „*ძვირადღირებულს დაფასება სჭირდება*.“ შესაბამისად, მისი აქტუალიზაციისას სიღრმისეული წარმოსახვითი მიმართებები პრაქტიკულად იმავე სახისაა: კანონზომიერი/არაკანონზომიერი. მაგრამ ტექსტი ამავე დროს ინფორმაციას გვაძლევს იმის თაობაზე, რომ ვინც ამას სჩადის – არ იცის, რომ ის შევარდენია, ამის საფუძველზე კიდევ ერთი ზედაპირულად ნაწილობრივ გამჟღავნებული აზრობრივი ოპოზიციური წყვილი ფიქსირდება: ცნობა/არცნობა (ცოდნა/არცოდნა). შესაბამისად, იმპლიციტურ დონეზე ფიქსირებული განზოგადებული მნიშვნელობის დეკოდირებისას, პირველისაგან განსხვავებით, აზრი (შესრულების დროს ინტონაციური ველიც) ნაკლებად დამაბუღია. მასში გარკვეულწილად ქართული „არცოდნა არცოდნა“-ს მნიშვნელობა დომინირებს. ანუ პირველ – „ვირისა“ და „ვარდის“/„ხურმის“ შემთხვევაში რაიმე ძვირფასის ოდესმე დაფასების პოტენციური ნულზეა დაყვანილი, რადგან „ვირს ოქროს ყელსაბამიც რომ შეაბა, მაინც ვირია“ და ის ვერასოდეს მიხვდება მის ღირებულებას. ხოლო მეორე შემთხვევაში, შემდგომში, რაღაც ხარისხში მაინც არსებობს ძვირფასის დაფასების პოტენციური, ე. ი. პირველი ერთეულისაგან განსხვავებით აქ მოცემულ საქციელს უფრო მსუბუქი შეფასება ეძლევა და მასში გამოხატული უარყოფითი კონოტაციაც შერბილებულია. შესაბამისად, შესრულებისას უფრო იუმორით, ვიდრე ირონიით მიემართება ადამიანს, რომელიც, მართალია, უმართებულო საქციელს სჩადის, ღირებულს აფუჭებს (შევარდენის შეწვის ანალოგიით), მაგრამ მის საქციელს გარკვეულწილად გამართლებაც აქვს, რადგან აღნიშნული ქმედება არცოდნის ნიადაგზე ხდება. მეტაფორული ექსპანსიის მიმართულებას: ადამიანი → ადამიანი.

როგორც ვხედავთ, ანდაზის გახსნა – არსებითის ზედაპირზე ამოტანა, რომელიც სამეტყველო აქტის მონაწილეთა ქვეცნობიერში მიმდინარეობს, პრაქტიკულად ფსიქოლოგიურად „*შემოქმედებით აქტს*“ წარმოადგენს. მისი აქტუალიზაციისას (საერთო „მენტალური ენის“ მქონე) სამეტყველო აქტის მონაწილეთა ქვეცნობიერში აქტივირდება ის კონკრეტული „სენსორული მასალა“, რომელიც ფიქსირებულია მოცემული ეთნოსის მიერ სამყაროს მოდელის ამ კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებულ გამოცდილებაში. ანალოგიაზე დაფუძნებული აზრობრივი ოპერირებისას ხორციელდება აღქმის მონაცემათა „გონებრივი“ გადამუშავება, ხდება არსებითის გამოყოფა (დიფერენცირება) არაარსებითისაგან. ეს პროცესი მოცემულ საგანთა და მოვლენათა შორის იმ წარმოსახვით მიმართებათა წვდომის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც დადგენილი და მიღებული ნორმაა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, მის სააზროვნო სივრცეში.

მოცემულ კორპუსში წარმოდგენილი მაგალითების ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ თითოეულ ანდაზას ქვეტექსტში მსგავსი ფართე მნიშვნელობა უდევს საფუძველად, რითაც ისინი პრაქტიკულად ერთი ცნების („*ღირებულს დაფასება სჭირდება*“) ჩარჩოებში, ერთ სემანტიკურ მოდელში ერთიანდებიან. მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, თითოეულ-ლის აზრობრივი შეფერილობა (შესრულებისას ინტონაციური ველის მონაცვლეობა) და ზოგადაზრობრივი განფენილობის პარამეტრები პრაქტიკულად განსხვავებულია. ე. ი. თითოეული კონტექსტში რეალიზაციისას განსხვავებულ სიტუაციურ „ნიშაში“ განთავსების პოტენციალს ამჟღავნებს, რის ფონზეც ისინი, არა სინონიმებად, არამედ კვაზისინონიმებად

(ნაწილობრივ აზრობრივ პარალელურად) განიხილებიან. როგორც ჩანს, ანდაზა, ერთი შეხედვით მარტივი და ყველასათვის გასაგები ფორმის მიუხედავად, მრავალპლანიან რთულ ფოლკლორულ მოვლენას წარმოადგენს. მასში ზედაპირულად (თვალსაჩინოდ) და სიღრმისეულად (არათვალსაჩინოდ) ასახული ობიექტური სინამდვილე არ შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საგნებად და მოვლენებად განვიხილოთ, რადგან ისინი სიღრმისეული წარმოსახვითი მიმართებების საშუალებით გარკვეულ ცნებით დამოკიდებულებაში მყოფი კანონზომიერებების მთელი სისტემაა. ამდენად, კომუნიკაციის დროს მათი მართებული გამოყენება, განზოგადებული მნიშვნელობასთან ერთად, მოითხოვს თითოეულის სემანტიკური შეფერილობისა და სტილისტური მახასიათებლების ზუსტ ცოდნას. მსგავსი მაგალითები პრაქტიკულად ქმნიან რა განსხვავებულ აზრობრივ განშტოებებს მოცემულ თემატურ ჩარჩოებში, ერთი მხრივ, ამდიდრებენ და საინტერესოს ხდიან და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ართულებენ უდაოდ რთული (მით უფრო უცხოენოვანი), მრავალფეროვანი პარემიული სივრცის აზრობრივ „პალიტრას“ და, ბუნებრივია, მის შესწავლას.

საკვანძო სიტყვები: პარემიული ცნება, არაბული ზეპირსიტყვიერება

ლიტერატურა:

- Barakat Robert A.**, *A Contextual Study of Arabic Proverbs* (Suomalainen Tiedeakatemia, Akademia Scientiarum Fennica), FF Communication №226, Helsinki, 1980.
- Барли Н.**, *Структурный подход к пословице и максиме*, в: Паремнологические исследования. М., 1984. стр. 127-148.
- Brockelman C.**, “*Mathal*”, The Encyclopaedia of Islam, Vol. 3. E. J. Brill, Leyden, 1913, pp. 407-410.
- Webster. Sh. K.**, “*Arabic Proverbs and Related Forms*”. “Proverbium” №3. 1986.
- سہام ترجمان – "یا مال الشام". دمشق ۱۹۸۷.
- Крикманн А. А.**, *Опыт объяснения некоторых семантических механизмов пословицы*, в: Паремнологические исследования, М., 1984, стр. 149-178.
- Г. Л. Пермяков.** *От поговорки до сказки (замечки об общей теории клише)*. М., 1970.
- რუსიეშვილი მ.**, ანდაზა, თსუ, თბილისი 2005.

Khatuna Tumanishvili

Iv. Javakhishvili Tbilisi state University
Tbilisi, Georgia

E-mail: Khatu64@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.14>

On the Expression of Some Paroemic Concept in Arabic Orally Transmitted Foklore

(With comparative Analysis with Georgian Parallels)

Abstract

Arab author Abu' Ubaid Al-Harawi (philologist, lawyer, theologian, born in 770) said: “Arabic proverbs are one branch of Arabic philosophy and wisdom”, whereas according to the evaluation of the Arab people, “A proverb never lies” [al-másal ma jekzob 'abadan]- يكذب أبداً- المثل ما

Proverbs are significant “social documents”, which represent the stereotyped communicative units expressing the world outlook of nations. The process of human thought over the centuries, gaining insight in the deep regularities of the universe and conclusions are concentrated in them. By means of them the essential in the class of phenomena – the approved wisdom is evaluated and represented in a generalized way. Exactly due to the generalized meaning, proverbs can turn into the parameters of the mentality of a given language collective, into the formulas expressing the norms seen from their point of view and “established” by them. On this basis, they are used as argued evidence for explaining diverse life situations and bringing to light pragmatic “strategic” instructions.

Proverbs are a multidimensional topic. The aim of the present study is, on the basis of examples obtained from the Arabic stock of proverbs, to interpret on the theoretical level one conceptual model – “*It is necessary to appreciate the valuable*”, in particular, to demonstrate how this generalized concept is expressed in Arabic orally transmitted folklore, upon what experience the Arabs rest in this case, what “construction material” (G.Permiakov) they choose as the image and on the basis of it what kind of imaginary-logical relations are recorded. At the same time, as a result of comparative analysis of Georgian conceptual parallels, respective similarities and differences are observable from this viewpoint.

The analysis of the examples represented in the given corpus has shown that the similar generalized meaning underlies each proverb, by means of which they practically are united within a single concept (“*It is necessary to appreciate the valuable*”), within a single semantic model. However, it has become clear as a result of the analysis that the conceptual colouring of each proverb (the alternation of the intonation field at the time of performance) and the parameters of the generalized extent are practically different. That is, at the time of realization in a context each proverb reveals the potential of being placed in a different situational “niche”; against this background, they are considered not as synonyms but as quasi-synonyms (partial conceptual parallels).

The Arabic-language material is based on the urban vernaculars of the Syrian dialect, mainly – those of Damascus, Aleppo and their outskirts. Each example is recorded and translated from the Arabic primary source, directly from Syrian informants. The Arabic text is accompanied the Latin transcription (showing the phonetic differences of the Syrian dialect in relation to Classical Arabic), the word for word translation and relevant Georgian equivalents.

Keywords: Paroemic concept, Arabic folklore